23.09.2008: აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №23

23 სექტემბერი, 2008
ქ. თბილის

დღის წესრიგი:

1. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ნათია გაბრიჩიძის კანდიდატურის განხილვა;

2. ახალი საკონკურსო ადგილების გამოცხადებასთან დაკავშირებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის განხილვა;

3. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის განხილვა;

4. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის განხილვა;

5. სასწავლო პროგრამების დამტკიცება;

6. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანა: სტრუქტურულ ერთეულად ქართული ფილოლოგიის ინსტიტუტის დამატება;

7. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის - "შავი ზღვის რეგიონისა და კავკასიის ქვეყნების არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის" სახელწოდების შეცვლა "შავი ზღვის რეგიონისა და კავკასიის ქვეყნების ისტორიის, არქეოლოგიისა და ხალხთმცოდნეობის ინსტიტუტის" სახელწოდებით და სათანადო ცვლილებების შეტანა ფაკულტეტის დებულებაში.

8. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტის ინიციატივის განხილვა John Lyons- ის ნაშრომის - "Language and Linguistics" თარგმნასთან დაკავშირებით.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე - საბჭოს თავმჯდომარე
2. შუქია აფრიდონიძე - სხდომის მდივანი
3. მზია ბაქრაძე
4. ნათელა იმედაძე
5. გიორგი ნახუცრიშვილი
6. ჯუანშერ ჩქარეული
7. ქეთი გურჩიანი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

2008 წლის 23 სექტემბრის სხდომაზე აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დაინიშნოს ნათია გაბრიჩიძე ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის თანამდებობაზე 1.10.2008 წლიდან.
2. მოწონებულ იქნეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტის ინიციატივა John Lyons- ის ნაშრომის - "Language and Linguistics" თარგმნასთან დაკავშირებით და ფაკულტეტს მიეცეს უფლება, თარგმნოს ნაშრომი.
3. ეთხოვოს განმარტება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტს მისი სტრუქტურული ერთეულის სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით. შევიდეს ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებები, კერძოდ: დებულებიდან ამოღებულ იქნეს მე-5 მუხლი, ამასთანავე, დებულებაში სიტყვა "მასწავლებლები" შეიცვალოს "მკვლევრებით".
4. უნივერსიტეტის წესდებაში შევიდეს ცვლილება, რომელიც დაარეგულირებს სამეცნიერო ერთეულისათვის სახელის მინიჭების წესს, წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტი მოამზადოს იურიდიულმა სამსახურმა. დადგინდეს, რა შემთხვევაში ეწოდოს ერთეულს ინსტიტუტი, ცენტრი ან სემინარი.
5. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულად ქართული ფილოლოგიის ინსტიტუტის შექმნის საკითხის განხილვა გადაიდოს უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილების შეტანამდე.
6. წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს ახალი საკონკურსო ადგილები დასამტკიცებლად.
7. დამტკიცდეს მაგისტრატურის სტანდარტები შენიშვნებით.
8. დამტკიცდეს ბაკალავრიატის სტანდარტები შენიშვნებით.
9. დამტკიცდეს სასწავლო პროგრამები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი შენიშვნებითა და რეკომენდაციებით.

სხდომის თავმჯდომარე:

გიგი თევზაძე

სხდომის მდივანი:

შუქია აფრიდონიძე